წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2015 წლის 29 აპრილი

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შეასახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №54 დადგენილებაში (www.macne.gov.ge 07/11/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010340000.35104.016200) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ დანართი №2 დაემატოს 29^1, 29^2, 47^1 და 69^1 მუხლები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 29^1**. შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი

შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსს გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების 26-ე მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel).

მუხლი 29^2. შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტი

შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების 26-ე მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel).

მუხლი 47^1. ზედამხედველობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხებში

ზედამხედველობის განყოფილების მთავარ სპეციალისტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხებში, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების 45-ე მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel).

მუხლი 69^1. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტს ადმინისტრაციულ ერთეულში გარდა ამ დანართის პირველი მუხლით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა დამატებით მოეთხოვება:

ა) როგორც წესი, უმაღლესი განათლება;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გონერ კვარაცხელია**